ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკით“ სარგებლობის წესები

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესები არეგულირებს ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში“ (შემდგომში – „ბიბლიოთეკა“) გაწევრიანების, საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის, მკითხველთა ქცევის ნორმებისა და ბიბლიოთეკის რესურსების დაცვის საკითხებს.
1.2. ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციულ დაწესებულებას, რომლის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს, ბიბლიოთეკის წესდებასა და ეთიკის კოდექსს.
1.3. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. გაწევრიანება და რეგისტრაცია

2.1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ გაწევრიანებისა და რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
2.2. მკითხველის რეგისტრაცია ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. მკითხველი ვალდებულია წარმოადგინოს ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა).
2.3 მკითხველი ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის შემდეგ იღებს ელექტრონულ შეტყობინებას (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით) ბიბლიოთეკაში გაწევრიანების შესახებ.
2.4. 18 წლამდე არასრულწლოვანი პირის რეგისტრაცია ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.
2.5. ბიბლიოთეკის რეგისტრატურის მიერ გაცემული მკითხველის ბილეთის/აბონემენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება მასში მითითებული ვადით. მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მკითხველი ვალდებულია ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია და მიიღოს ახალი მკითხველის ბილეთი/აბონემენტი.
2.6. მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკას დაუყოვნებლივ შეატყობინოს პერსონალური ან საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ.

3. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

3.1. **კატეგორიულად აკრძალულია** ბიბლიოთეკის შენობაში შესვლა და სარგებლობა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას უფლება აქვს, უარი უთხრას პირს მომსახურებაზე და მოსთხოვოს ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვება.
3.2. მკითხველი ვალდებულია პატივი სცეს სხვის უფლებებს და თავისუფლებებს, ბიბლიოთეკაში დანერგილი მომსახურების სტანდარტის მისაღებად.
3.3. ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს სიჩუმე და წესრიგი. აკრძალულია სხვა მკითხველთა ან თანამშრომელთა შეწუხება, ხმაური, კამათი ან საოფისე საქმიანობისთვის ბიბლიოთეკის სივრცის არამიზნობრივი გამოყენება.
3.4. აკრძალულია სამკითხველო დარბაზებში საკვები პროდუქტების შეტანა და მიღება (გარდა ბოთლში ჩამოსხმული წყლისა). მობილური ტელეფონები უნდა იყოს გადაყვანილი უხმორეჟიმზე.
3.5. ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე აკრძალულია შინაური ცხოველების შემოყვანა.
3.6. მკითხველს ეკრძალება მკითხველის ბილეთის/აბონემენტის სხვისთვის გადაცემა ან სხვისი ბილეთით/აბონემენტით სარგებლობა.
3.7. ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობისას მკითხველს ეკრძალება ისეთი ვებ-გვერდების მონახულება, რომელიც შეიცავს ძალადობას, პორნოგრაფიას ან ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

4. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობა

4.1. მკითხველს უფლება აქვს ისარგებლოს სამკითხველო დარბაზებით, ბიბლიოგრაფიული მომსახურებით ,ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით.

4.2. ნაბეჭდი საბიბლიოთეკო ერთეული, რომელიც ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთ ეგზემპლარად მოიპოვება, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა და ხელმისაწვდომია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში (გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მასზე არ არის ყოველდღიური მოთხოვნა და ის გაიცემა სამი დღით).

4.3. მკითხველს უფლება აქვს ერთდროულად გაიტანოს არაუმეტეს 2 წიგნისა, მხატვრული ლიტერატურის გატანის ვადა შეადგენს 14 დღეს.

4.4. პერიოდული გამოცემები, რარიტეტები (იშვიათი გამოცემები), კარტოგრაფიული მასალა, ლექსიკონები და ენციკლოპედიები ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა.

4.5. ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები, რომლებსაც აქვთ საქართველოში მუდმივი ან დროებითი ბინადრობის ნებართვა.

4.6 ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის უფლებით არ სარგებლობენ ერთთვიანი მკითხველის ბარათის მფლობელები.

4.7 მკითხველს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო მასალა მოიძიოს ბიბლიოთეკის კატალოგში ან დააზუსტოს ბიბლიოთეკართან.

4.8 მკითხველს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო მასალა ბიბლიოთეკას შეუკვეთოს წინასწარ, შეკვეთის ვადად განისაზღვრება 3 (სამი) სამუშაო დღე.

4.9. საბიბლიოთეკო ერთეულის შეკვეთის შემდეგ, ბიბლიოთეკარი აწვდის მკითხველს შემდეგ ინფორმაციას, ხელმისაწვდომია თუ არა მისთვის საინტერესო მასალა ბიბლიოთეკაში, შეუძლია თუ არა სახლში გატანა და რა ვადით;

4.10 მკითხველს შესაძლობლა აქვს ისარგებლოს საბავშვო და ახალგაზრდული განყოფილების წიგნადი ფონდით (მის.: ჯავახიშვილი ქ., №72). სერვისით სარგებლობა შესაძლებელია ბიბლიოთეკაში გაწევრიანების და მკითხველის ბარათის წარმოდეგნის შემდეგ, რომელიც მოქმედებს ორივე ლოკაციაზე.

5. პასუხისმგებლობა და სანქციები

5.1. მკითხველი ვალდებულია გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო დოკუმენტებს (მასალას). მასალის მიღებისას დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბიბლიოთეკარს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება უკანასკნელ მკითხველს.

5.2. წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია ჩაანაცვლოს იგივე დასახელების წიგნით. თუ ასეთი გამოცემა გაყიდვაში არ არის, ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით, მკითხველი ვალდებულია ჩაანაცვლოს სხვა მოთხოვნადი საბიბლიოთეკო ერთეულით ან მსგავსი ღირებულების აქტუალური ლიტერატურით.

5.3. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია:

5.3.1. პირველად დარღვევაზე - გააფრთხილოს მკითხველი;

5.3.2. მეორედ დარღვევაზე - ჩამოართვას მკითხველის მკითხველის ბილეთი/აბონემენტი 3 თვის ვადით;

5.3.3. მესამედ დარღვევაზე - ჩამოართვას მკითხველის აბონემენტი და აუკრძალოს ბიბლიოთეკით სარგებლობა.

5.4. მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში მკითხველი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.5. მკითხველს უფლება აქვს, ადმინისტრაციის მიერ მიღებული სანქციის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს ბიბლიოთეკის დირექტორის სახელზე წერილობითი განცხადების შეტანის გზით, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
5.6 ბიბლიოთეკის ფონდებში შესვლა უცხო პირებისთვის კატეგორიულად აკრძალულია.

6. საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების წესები

6.1. მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში; ერთეულის გაცემის თარიღის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულია საინფორმაციო რესურსის ფორმულარზე და შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.
6.2. გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია დააბრონოს ლიტერატურა ბიბლიოთეკაში;
6.3. გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომის დროს, თუ მკითხველს კვლავ სჭირდება ამავე მასალით სარგებლობა, მას შეუძლია გადადოს წიგნის დაბრუნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გააფრთხილებს ადმინისტრაციას ვადის გაგრძელების შესახებ;
6.4. თუ მკითხველი ობიქტური მიზეზების გამო (მაგ.: ავადმყოფობა, ქვეყანაში არ ყოფნა და სხვ.) ვერ აბრუნებს გატანილ მასალას წინასწარ განსაზღვრულ დროში, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში მასალით სარგებლობის ვადა ჩაითვლება დარღვეულად.

VII. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისგან გაფრთხილება

7.1. მკითხველი ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისგან გაფრთხილებას იღებს: წიგნის დაბრუნების ვადის გასვლის გამო, აქტიურად მოთხოვნადი წიგნის სხვა მკითხველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში და ქცევის წესების დარღვევისას დაწესებული სანქციების შესახებ;
7.2. წიგნის დაბრუნების ვადის გასვლიდან 5 (ხუთი) დღის შემდეგ რეგისტრატორი მკითხველს ელ-ფოსტით უგზავნის გაფრთხილებას წიგნის დაბრუნების შესახებ;
7.3. რიგასტრატორი მკითხველს უგზავნის გაფრთხილებას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევისას ამავე დოკუმენტით განსაზღვრული სანქციების შესახებ;
7.4. წიგნის დაბრუნების ვადის გადაცილების შესახებ შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს მკითხველს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.